ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო

№4 (75) ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი 2015 წელი

წმ. მღვდელმოწამე, არქიმანდრიტი გრიგოლი (ფერაძე)

ახალმოსახლეობა

„ჩვენ ვხატავთ მშვიდობას“

ახალმოსახლეობა

მიმდინარე წლის იანვარში რუსთაველის გამზირზე მომხდარი ხანძრის შემდეგ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: დაიწვა ფართი, სადაც იგი იყო განთავსებული, დაზიანდა ტექნიკა, ინვენტარი. დევნილი ორგანიზაციის ტკივილი მალევე გაიზიარეს საქართველოს საპატრიარქომ და თბილისის მერიამ. მაისში სულიერებისა და კულტურის ცენტრისათვის ახალი საოფისე ფართი გამოიყო თოფურიას ქ. N10-ში, ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში. ნორმალურმა სამუშაო პირობებმა, ფართო, ნათელმა ოთახებმა, საკონფერენციო დარბაზმა ახალი იდეებითა და ახალ ღონისძიებათა ჩატარების სურვილით განაწყო ცენტრის თითოეული თანამშრომელი.

15 ოქტომბერს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს ახალმოსახლეობა მიულოცეს საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილმა) და სხვა სასულიერო პირებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ, აფხაზეთისა და თბილისის საზოგადოების წარმომადგენლებმა. საპატიო სტუმრებს ცენტრის თავმჯდომარე **სვეტლანა ქეცბა** მიესალმა:

- დღეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის გამო შევხვდით ერთმანეთს - აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისათვის ახალი შენობის გამოყოფასთან დაკავშირებით. გვინდა გაგიზიაროთ, რომ ვაპირებთ მუშაობის ფორმების შეცვლას. ეს დღესასწაულიცაა და იმის შეგნებაც, რომ წინ ბევრი სირთულე გველის, არ ვისაუბრებ ჩვენი მოღვაწეობის შესახებ, უბრალოდ, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ცენტრის შექმნის სათავეებთან იდგა და დღესაც გვერდით გვიდგას. პირველ რიგში, მინდა მოვიხსენო უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ინიციატორი ისეთი ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც აერთიანებს სასულიერო და საერო ხელისუფლებას. ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენთვის მეუფე დანიელმა, რომელიც მაშინ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდებოდა. ბევრი სიკეთე გვახსოვს აფხაზეთის ხელისუფლების, უპირველესად, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას მხრიდან.

ჩვენი ღონისძიებები ეხმარება ადამიანებს სულიერად გამდიდრებაში. ხელოვნება, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, ხალხს სიხარულსა და იმის რწმენას ანიჭებს, დამაჯერებლობას ჰმატებს იმის განცდაში, რომ საჭირონი არიან საზოგადოებისათვის.

მომავალ წელს ცენტრს 10 წელი უსრულდება. ამ მოკრძალებული საიუბილეო თარიღისათვის ცენტრი ბევრ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს. დავასახელებ ერთს - ყოველი თვის ბოლო პარასკევს შეხვედრა გვექნება ხელოვნებისა და სასულიერო დარგის სპეციალისტებთან და სხვ.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:

– მინდა ცენტრს მივულოცო ახალი ჭერი და მადლობა მოვახსენო მერიას, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო საკუთრებაში გადაეცა ეს შენობა აფხაზეთის სტრუქტურებისათვის, ამ ცენტრისათვის, რომელსაც ქალბატონი სვეტლანა ქეცბა ხელმძღვანელობს. ეს უნიკალური ქალბატონია თავისი წარსულით, შემოქმედებითი მიდგომით, უნარით, იდეებით, მის გარშემო სულ ახალგაზრდობა ფუსფუსებს და ყოველთვის საინტერესო ხალხთან აქვს შეხვედრა. სიამოვნებით ვაკეთებთ ყველაფერს, რასაც ისინი გვთავაზობენ. მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ცენტრის შექმნაში

და მინდა ვუსურვო წარმატებები. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

დეკანოზი ბიძინა (გუნია): - მოგესალმებით ყველას. მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის. ცენტრი უწმიდესის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა და მას ხელმძღვანელობს წმინდა გიორგის ოქროს ორდენოსანი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა. სამწუხაროდ, იგი ჩვენს სამშობლოში, აფხაზეთში, მტრად გამოაცხადეს. ეს დიდი ტკივილია. მიუხედავად ამისა, ქალბატონი სვეტლანა შესაშური ენერგიითა და პროფესიონალიზმით აკეთებს იმ კეთილ საქმეს, რასაც ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური აღზრდა ჰქვია.

მეუფე დანიელი: - ქრისტეს მიერ საყვარელნო დანო და ძმანო! ჩვენ ვართ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში. უპირველესად, მინდა მივულოცო ცენტრს ახალსახლეობა. ეს არის საქართველოს საპატრიარქოსა და აფხაზეთის მთავრობის ერთობლივი პროექტი. იგი დაეფუძნა საკონსტიტუციო შეთანხმებას, რომელიც ვარაუდობს სწორედ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ერთობლივი პროექტების განხორციელებას და აი ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა ორმხრივად. რასაკვირველია, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხდება ეს ყოველივე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ მისი უწმიდესობა ითავსებს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობას. ისედაც ყოველთვის ამ ეპარქიაზე განსაკუთრებით ზრუნავდა არამარტო მაშინ, როდესაც იქ მოღვაწეობდა, არამედ მერეც და ახლა განსაკუთრებულია მისი ყურადღება. ამ ცენტრის დანიშნულება ის გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოება სულიერად და კულტურულად იყოს ერთიანი, ერთსულოვანი და დაეფუძნოს იმ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც განსაწავლულია ქრისტიანობით. ქართული, უფრო სწორად, საქართველოს კულტურა არის ქრისტიანული კულტურა და შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი ეკლესია მონაწილეობს ამ პროცესში და რეალურად ყველაფერი ერთობლივად, შეთანხმებით ხდება. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ წლების მანძილზე, სიმბოლურია, რომ ამ ცენტრს ხელმძღვანელობს ქალბატონი სვეტლანა ქეცბა, რომელიც არის აფხაზი, მაგრამ ამავე დროს ის არის აფხაზი, რომელმაც არ გაწყვიტა მეგობრობა ქართველებთან. ეს არის სიმბოლო იმ კავშირის უწყვეტობისა, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს და აუცილებლად აღდგება. და აი ამ ცენტრის ყველა ღონსძიება არის მიძღვნილი ქართველთა და აფხაზთა ერთობის, როგორც წარსულში - საჩვენებლად იმ დიდი ისტორიისა, ასევე მომავლის იმედისა, რომ ეს აღდგება.

რაკი ახალი შენობა აქვს ამ ცენტრს, ეს ნიშნავს უკვე, რომ ღმერთმა მოიწონა ამ ცენტრის საქმიანობა და პირობები გაუუმჯობესდა. და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ჩვენს მიზანს - ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის და ძმობის აღდგენას, მშვიდობის აღდგენას აფხაზეთში.

დღევანდელი დღე კიდევ ერთი ნაბიჯი და საწინდარი ყოფილიყოს ჩვენი დაბრუნებისა აფხაზეთში.

საღამოზე ცენტრთან ურთიერთკავშირზე ისაუბრეს ბაკურ გულუამ, ოთარ ჟორდანიამ, ცენტრთან დამეგობრებულმა სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლებმა. საკუთარი ლექსებით გაამხატვრულა ზეიმი პოეტმა მზია ხეთაგურმა, მუსიკალური ნაწარმოებებით - თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა, მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა (ელისო ვირსალაძის კლასი) პიანისტმა ანა ყიფიანმა.

„ჩვენ ვხატავთ მშვიდობას“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II დაბადებიდან 82-ე და აღსაყდრებიდან 38-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა ნახატების გამოფენა 2015 წლის 28 ოქტომბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მოეწყო, მისი დევიზი იყო „ჩვენ ვხატავთ მშვიდობას“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 100-მდე ნახატი, რომლებშიც წმინდა ბავშვური მიამიტობით შექმნილ ზღაპრის გმირებთან ერთად მათთვის უცნობი, მაგრამ მაინც მშობლიური აფხაზეთის მონატრებაც იგრძნობოდა, და რაც ყველაზე მთავარია, უმრავლესობა გაჟღენთილი იყო უფლის რწმენით, რასაც ნამუშევრების დასახელებაც მოწმობდა. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით მობრძანებულმა წალკის ეპარქიის მმართველმა, ეპისკოპოსმა გრიგოლმა დალოცა და აკურთხა პროექტის მონაწილეები. გამოფენაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა, პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა კეთილი სიტყვა არ დაიშურეს ახალგაზრდებისადმი. ამ დღის განსაკუთრებულობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გიზო ხუბუამ, გალერეის დირექტორმა, აფხაზეთის დამსახურებულმა მხატვარმა დავით ბაძაღუამ და სხვებმა. საკუთარი ნამუშევრები გააცნეს საზოგადოებას გამოფენის მონაწილეებმა.

ელენე შელია: - სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ნამუშევრები გამოვფინეთ, რომ ყველამ გაიგოს ჩვენი ხმა, ყველამ დაინახოს ჩვენი თვალით დანახული სამყარო. ჩვენი გულწრფელი სურვილი აფხაზეთში მშვიდობიანად დაბრუნებაა, რადგან მშვიდობა ხომ საწყისია სიკეთის, სიყვარულის, სტაბილურობის, ერთმანეთის თანადგომისა და ქვეყნის ძლიერებისა.

იოანა წულაია: ჩემმა ნახატებმა მსოფლიო ბავშვთა ნახატების გამოფენაზე ჩეხეთში საპრიზო ადგილი დაიმსახურა, რამაც ძალიან გამახარა. მაგრამ ჩემი სურვილია სამშობლოში დავბრუნდე და მისი ლამაზი მთა-ბარი დავხატო. ბევრი მეგობარი მყავს. მინდა აფხაზმა თანატოლებმაც გაიხარონ ჩემი წარმატებით და მათ მივაწვდინო ჩემი ხმა: „ვიაროთ ერთად“, „ვაშენოთ ერთი სახლი“, მიყვარხართ!

ანა ქაშიბაძე: ძალიან მიყვარს ჩემი აფხაზეთი, უფრო სწორად, სოხუმი, სადაც უნდა დავბადებულიყავი თურმე. მინდა დედასთან ერთად მალე დავბრუნდე ჩემს სახლში.

ნინო გერგაული: ჩემო ენგურს გამა დარჩენილო თანატოლებო. თქვენთვის დავხატე სამების ტაძარი, მზე და ყვავილები. მინდა თქვენც დახატოთ ილორის ეკლესია, ზღვა და ჩვენი საყვარელი ქალაქის - სოხუმის ლამაზი ქუჩები და მომავალში ერთად მოვაწყოთ ეს გამოფენა. ყველამ დაინახოს, რომ თუ ერთად ვიქნებით, მტერი ვერასოდეს დაგვამარცხებს.

ღონისძიებაში მონაწილე ფოლკლორის ეროვნული სკოლის აღსაზრდელებმა(ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი), რომლებმაც შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები, ნორჩმა დეკლამატორებმა ნინო გვარამიამ, ხატია ქებურიამ და ანა ქაშიბაძემ წაიკითხეს პეტრე კოლხის ლექსები. ჩალხიას არია ოპერა „მინდიადან“ შეასრულა ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი N1-ის“ მე-6 კლასის მოსწავლე ალექსანდრე ხუხუშვილმა.

გამოფენა დიდ დღესასწაულში გადაიზარდა. ღონისძიების გვირგვინად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II -სთან შეხვედრა იქცა. ძნელია აღწერო სიხარული, რომელიც ბავშვებს სულიერ მამასთან შეხვედრამ მიანიჭა და, ამასთან, მათი პასუხისმგებლობა საკუთარი შემოქმედებისადმი. ზოგიერთმა მოზარდმა პატრიარქს თავისი ხელოვნების ნიმუშები წარუდგინა. თუმცა, არანაკლებ ამაღელვებელი იყო ეს შეხვედრა პატრიარქისათვის. აფხაზეთის მკვიდრ ბავშვთა კეთილდღეობის, მათში სიყვარულის გრძნობის აღზრდისადმი მიმართული უწმიდესის ძალისხმევის გამოძახილია სწორედ მსგავსი ღონისძიებები. სულიერი მამის კურთხევა მადლია, იგი ნათელი მომავლის, ჭეშმარიტების იმ მომენტის რწმენას გვმატებს, რომელიც, პატრიარქის აზრით, ძალზე ახლოსაა.

უწმიდესმა შეხვედრის მონაწილეები წმიდა წიგნით - ბიბლიით დაასაჩუქრა, რომლის თითოეულ ეგზემპლარს მისი წარწერა ამშვენებს. და ესეც მთელი ცხოვრების სახსოვარია.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა და ამ ორგანიზაციის წამყვანი სპეციალისტი იზონერა ბერაია.

ნიქოზი

კარგ დროს დამირეკეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრიდან (დაცლილ სოფელში ვზივარ განმარტოვებით, არაფერი მხიბლავს მაცდური და წარმავალი) – დაგვიწერეთო თქვენი შთაბეჭდილებები ნიქოზის ფესტივალზე. მოგონებები დამეწრიტა და თავს უფლებას მივცემ ის ვიყო, რაც ვარ, ის გავიხსენო, რაც გულს შემორჩა.

ჩვენში სტუმრის მიღება კარგი იციან, მით უფრო პატივდებულის, არავის არაფერი შეეშლებოდა და არ მიწყენთ, თუ უფრო მასპინძლებისას ვიტყვი.

ნიქოზში, სანამ ადამიანი შეგხვდება და შემოგეგებება, მიწა გმასპინძლობს, ტაძარი. თუმცა მხოლოდ ხილულად – რახან მანდელშტამისეული გახსოვს: „არა ადგილია ქვეყნად, არამედ ადგილი ადამიანისა ქვეყნიერებისა ზედა“ . და მანიც, ნიქოზი... ტაძრის შემაღლებულზე და ტაძრის შემოვლებულში დგეხარ სიკეთის რწმენითა და ურწმუნოებით, თვალი ტკბება და სევდა კი ჭარბობს...

და ესეც, ჩვენი მასპინძელი, უხილავისა და ხილულის თავშექცევით – მეუფე ესაია, რომ ვერ გვხვდება და ჩვენთან კი არის...

დედა ნინო, (ინგა კუკულაძე) შვილიშვილის ტოლი, მშვიდი და ფაქიზი, დრო რომ გადაგიცდება გამოფენის მზადებაში, ჩუმად შეაღებს კარს და დედური მზრუნველობით თბილი ხაჭაპურით დაგაპურებს; ბავშვები, ნიქოზელები, აქაურები, ცნობისწადილიანი მასპინძლები, ფართოდ და მორცხვად რომ ახელენ თვალებს და მალულად გითვალთვალებენ; ხელოსნები, ქვაფენილს რომ აგებენ სტუმრების მოსაწონად, ღიმილით გხვდებიან, გუნებაში კი რა იცი, რას ფიქრობენ; სოფლელები ქუჩაში რომ შემოგხვდებიან, უფრო სასიცოცხლო საქმეზე რომ ეჩქარებათ, შენს დანახვაზე ეჭვობენ და იხტიბარს არ იტეხენ; ზური ქვაჩახია, პაატა შენგელია ჩრდილების თეატრის მსახიობები, უღალატოდ რომ გვერდში გიდგანან, ნიქოზიდან ცხინვალს რომ გადაჰყურებენ და მშობლიური აფხაზეთი რომ აგონდებათ; ელენე მურჯიკნელი, თვალს დაგაკლდება მისი ხუჭუჭთმიანი ხალისი, მოიკითხავ, და, ნუ იტყვი, თურმე ეგ განაგებს კომპიუტერთან ჩვენს დროსა და წამებს; გორელი ქალბატონი თამარ ხორგუაშვილი, ყოველ შეხვედრაზე, როგორ ბრძანდებითო რომ გეკითხება, და შეკითხვა ფუჭი არ არის; მას აბარია პასუხიმგებლობა და თვალს გადევნებს, არაფერი გაგიჭირდეს; ლევან ხარანაული, შვიდი შვილის მამა, რომ არ დაიზარებს, ჩამოვა და გამოფენის ექპოზიციაზე ხელს წაგიკრავს; ფხვენისელი და-ძმა ნინო და გიორგი გოგიძეები და ნიქოზელი ნიკა მჭედლიძე – ახალგაზრდები, ჩრდილების თეატრის მსახიობობას ნაზიარევი, თავშეკავებული სერიოზულები; და დასაწყისსა და დასასრულს, ყველას თავი და თავი – გელა კანდელაკი, მასწავლებელი, თავკაცი, ბუზღუნა, უკმაყოფილო საქმის მკეთებლებით, იქაც და აქაც, საქმე კი კეთდება მისი ცოდნითა და ძალისხმევით.

და მასპინძელი რომ გეგონა (არიან კიდეც) თან სტუმრებიც რომ ყოფილან – ევა ანგელოვა, ათიოდე წლის გოგონა, შინაურივით რომ შემოგხვდება და კარგი რუსულით რომ გაგახარებს, აქ, ნიქოზში დედამისს ჩამოყვა და დედათა მონასტერში ცხოვრობს; დედამისი კსენია ანგელოვა, ხატმწერი ბელორუსიიდან, ნიქოზელ ბავშვებს ასწავლის, ფესტივალისთვის ემზადებიან, ანიმაციურ ჩანართებს აკეთებინებს, ნათელი ახლავს, და ვერაფრით ვერ იჯერებ „ანგელოვა“ რომ მისი ფსევდონიმი არ არის; ქალბატონი ბე ვან ვარკი, მიხვდები, რომ გერმანელია და მიხვდები, რომ ბალეტმეისტერია, მოქნილი და პლასტიური, ნიქოზელ გოგოებიჭებს აცეკვებს და ცეკვით და სიტყვითაც ალაპარაკებს სტუმრების დასახვედრად.

და სტუმარი რომაა, მაგრამ შენიანია, მასპინძელიცაა – თბილისიდან ჩამოვიდა, ევალება, უნდა ჩამოსულიყო, საგანგებოდ, ზოგი შენთან, ზოგი ისე, მოუსვენარი ინტერესით, ზოგიც უბრალოდ გაუცნობიერებელი მოცლილობით – მხარს გიბამენ, ყველას ერთად ყოფნა უხარია, და თანადგომით ჩამოსულ ყავარჯნიანი ამხანაგის დანახვაზე, გაიფიქრებ – მეგობარი ყოფილა...

და აი, მართლა სტუმრები – სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ანიმატორები, პროდიუსერები, სცენარისტები – თავი მოიყარეს ფესტივალის გახსნის დღეს, კეთილგანწყობით უყურეს ნიქოზელი ბავშვებისა და ქალბატონ მარიამ კანდელაკის ანიმაციურ ფილმებს, საბალეტო დასის ცეკვებს, ჩრდილების თეატრის მინიატიურას, და, ალბათ, ამ სტრიქონების ავტორის გამოფენასაც – ფერწერულ ტილოებსა და ილუსტრაციების გრაფიკულ სერიას.

დასასრულს, უკვე ტაძრის გვერდზე ეზოში გამოსული სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს ვერ ელეოდნენ, მხიარულად საუბრობდნენ, სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. ჩვენს ლიტველ სტუმრებს კი გულმა ვერ გაუძლო და ვიტას ლანდსბერგისის წამოწყებითა და მეთაურობით სიმღერა დასცხეს შემართული და გამომწვევი. ჩვენებური ტკბილი მრავალხმიანობით უპასუხეს სტუმრებს დათო შუღლიაშვილის ბიჭებმა და მათი გალობა გულშიჩამწვდომიც იყო და სიმბოლურიც.

ეს იყო გახსნის დღის სიხარულიცა და შთაბეჭდილებაც. ამას მოჰყვა შემდგომი დღეების საქმიანი და ავტორიტეტული ურთიერთობები, აზრთა გაზიარება, ანიმაციური და მხატვრული ფილმების ჩვენება, მასტერ-კლასები, ფესტივალის დახურვის ცერემონიალიცა და სტუმრების გაცილებაც სამომავლო გეგმების იმედით – რაზედაც წერა, ვგონებ, პროფესიონალ ანიმატორს უფრო შეეფერება.

ერთს კი იტყვი ამ მიწაწყალზე, ტაძრის გვერდზე, ამ ზეიმის შემხედვარე მასპინძელიცა და სტუმარიც, და ყალბად არ გაიჟღერს – მადლობა ღმერთს, თუ ნება მისია, ნება კეთილი ადამიანებისა.

ოლესია თავაძე

მხატვარი, მწერალი

საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი 2015

2015 წლის 24 ნოემბერს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამონაწილეობით სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში ჩაატარა „საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი 2015“. ფორუმის მიზანია ახალგაზრდობის ჩართულობის გაძლიერება საქართველოში, მათი შესაძლებლობების გამოვლენა-გამრავალფეროვნება, დევნილი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდა, სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა და ადგილებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან საჭიროებებზე ორიენტირებული თანამშრომლობა, ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში. იდეა ეკუთვნის და პროექტს ხელმძღვანელობდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილე ბელა კოპალიანი. ფორუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით წინასწარი კრიტერიუმებით შერჩეულმა 100-მა ახალგაზრდამ, მათ შორის დევნილებმა (ეთნიკურად აფხაზებმა და ოსებმა), ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა.

ფორუმზე სიტყვით გამოვიდა და პროექტების შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობდა ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა, ღონისძიების ფარგლებში მოენყო ცენტრის მთავარ სპეციალისტ ლეილა ბაღბაიას მიერ შესრულებული კალიგრაფიის ნიმუშების გამოფენა, ხოლო საქართველოს ჰიმნი სულიერებისა და კულტურის ცენტრის წარდგენით შეასრულა მომღერალმა ალუდა თოდუამ.

ზეიმად ქცეული შეხვედრა

ნოემბრის მშვიდ და მზიან დღეს, თბილისის შუაგულიდან, ისტორიული კატაკლიზმების წყალობით არაერთგზის იავარქმნილი, მაგრამ მაინც ბერმუხასავით ამაყად მომზირალი მაჩაბლის ქუჩიდან (ესეც სიმბოლურია!) წეროვანის დევნილთა დასახლებისაკენ, დაიძრა ძვირფასი სტუმრებით დახუნძლული მსუბუქი ავტომანქანა. თითოეული მათგანი ქართველი ერის სიამაყეა: გივი ბერიკაშვილი განუმეორებელი კოლორიტი სამსახიობო ცის კაბადონზე; ქართული გენის, პიროვნული სხივმოსილების, უშრეტი ოპტიმიზმის წყარო კახი კავსაძე და კავსაძეთა გენიალური მუსიკალური შტოს ღირსეული წარმომადგენელი, საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ბურჯი იმერი კავსაძე.

ჩვენს მანქანას, რომელსაც აპარატის უფროსი ნოდარ სილაგაძე მართავდა, წინ მასპინძელთა მობილური გუნდი - აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის, ჩვენი დროის გამორჩეული საზოგადო მოღვაწის სვეტლანა ქეცბას თავკაცობით - მიუძღოდა. დროებით ლირიკული გადახვევის უფლებას მივცემ თავს: რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, აღმოვაჩენთ, რომ ინტენსიურად ვართ ჩართული სოკოებივით მომრავლებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ,,თავბრუდამხვევ“ რიტმში. ხშირ შემთხვევაში, მათი სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთს სცილდება. სამწუხაროდ ასეა! ჩემი, როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქის ანალიზმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მათ შორის, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი უდავოდ არის აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის დასახელების ზუსტი თანხვედრა ამ ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად არსთან. სულიერება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების იმდენად ორგანული ნაწილია, განსაკუთრებით დღევანდელ გაუხეშებულ ყოფაში, რომ ამის გარეშე არსებობაც კი წარმოუდგენელია. სწორედ ეს მუხტი ამოძრავებს ჭეშმარიტი ქველმოქმედების სულისკვეთებით გამსჭვალულ თითოეულ შეხვედრას, საღამოს და თუ ოფიციალურ ტერმინს გამოვიყენებთ - ღონისძიებას, რასაც წლების მანძილზე რუდუნებით, მოყვასისადმი თანადგომით და, რაც განსაკუთრებით ფასეულია, მაღალპროფესიული კეთილსინდისიერებით ასრულებენ ის ადამიანები, რომელთა გარეშე სვეტლანა ქეცბა ხელმოცარული იქნებოდა მასზე დაკისრებული დიდი მისიის აღსასრულებად.

ბედმა გამიღიმა, ქალბატონ ლია სეხნიაშვილთან ერთად, მეგზურობა გამეწია ჩვენი სასიქადულო მსახიობებისთვის. გზა მაჩაბლის ქუჩიდან წეროვანამდე უკვე იყო იმპროვიზებული მინი-წარმოდგენა. აქედანვე დაიწყო სამზადისი მაყურებელთან შესახვედრად და ამ მოლოდინს შინაგანი მღელვარება ახლდა. ასეა მუდამ - ყოველი პრემიერის წინ შემოქმედი აფორიაქებულია, შემართული, დამუხტული და ამ მუხტს მაყურებელთან შეხვედრისას უშურველად ავლენს. წინასწარ არავინ იცის, როგორ ჩაივლის პრემიერა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მყარად შეთანხმდნენ ერთ უმთავრეს ნიუანსზე - მათი ურთიერთობა აუდიტორიასთან იმედიანი მომავლის ტალღაზე აეწყოთ. შემდეგ ბატონმა კახი კავსაძემ თავისი გამოსვლების საფუძვლად დიდი დავით კლდიაშვილის ნაანდერძევი ორად ორი გენიალური ფრაზა ,,იმედი და მოთმინება“ არტისტულად გაათამაშა; ხოლო როდესაც კახი კავსაძეს იმპროვიზაციული ფრთების გაშლის საშუალება მიეცემა, მის ხილვას განა შეედრება რამე?!

მივუახლოვდით წეროვანს. გუგულის ბუდეებივით ჩამწკრივებული პატარა, კოხტა კოტეჯების წინ, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ საყვარელი მსახიობების ხილვის სურვილსდანატრებული ადგილობრივი მაცხოვრებლები. ყმაწვილები, პატარები აქ დაიბადნენ და მათთვის დღეს ეს მშობლიური გარემოა, უფროსები კი, ბედის უკუღმართობით აყრილნი ძირძველი მამაპაპეული მიწა-წყლიდან, თუმც სევდანარევი გამომეტყველებით, მაგრამ კლდიაშვილისეული იმედითა და მოთმინებით ელოდებიან საკუთარ სახლებში დაბრუნებას. გვჯერა, საბოლოოდ ასეც იქნება!

ყველა ასაკის თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ სტუმრებს კულტურის სახლის კამერულ დარბაზში სიურპრიზი მიაგებეს - სცენის ასასვლელის მარჯვენა კედელთან, ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბავშვები, ქართული ხალხური საკრავებით აღჭურვილნი, ხმაშეწყობით აჟღერებდნენ ქართულ ფოლკროლურ მელოდიებს. ამ მომენტის ხელიდან გაშვება ვის ეპატიება? და სიხარულით ცრემლებაკიაფებული მსახიობები ნორჩ მუსიკოსებთან და წეროვანის პროფესიული ანსამბლის წევრებთან ერთად, საერთო მხიარულების ფერხულის შუაგულში აღმოჩნდნენ. გვირგვინი ამ დაუვიწყარი ექსპოზიციური ნაწილისა იყო კახი კავსაძის, როგორც სოლისტის, უჩვეულოდ გამობრწყინება ანსამბლის დიდებული მომღერლების მხარდამხარ! ამ უძლიერეს შთაბეჭდილებას დრო ვერ გააფერმკრთალებს...

სცენა და დარბაზი გამთლიანდა. უფრო დიდი ბედნიერება რა არის მაყურებლისთვის, როდესაც ერთი ხელის გაწვდენაზე ხარ შენს კერპებთან - სცენიდან, ეკრანიდან თუ ესტრადიდან ესოდენ რომ შეგაყვარეს თავი. მსახიობისთვისაც მაყურებლის აღიარებაზე დიდი ჯილდო ხომ არ არსებობს! ამ ურთიერთობათა ჰარმონია ჭარბად სუნთქავდა იმ დღეს წეროვანის კულტურის სახლის მომცრო დარბაზში.

- დღეს აქ პატარა საქართველო ვიხილეთ! - ჩვეული ხალისით უწილადა გულის სითბო ბატონმა გივი ბერიკაშვილმა დარბაზში მსხდომთ. შემდეგ გაიხსენა სოხუმში ყოფნის პერიოდი და მასთან დაკავშირებული საგულისხმო ეპიზოდები, რომელსაც ქვეშეცნეული ნოსტალგია ახლდა.

- ყველაფერი ხდება ამქვეყნად, მაგრამ იმაზე დიდი საშინელება არაფერია, როდესაც გეტყვიან, მოწყდი შენს კერიას, დატოვე მშობელი მიწა და გადაიკარგეო... მე მაინც მჯერა, ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით! - ასე გაამხნევა ,,დევნილები" კახი კავსაძემ, რომელსაც ყველაზე მეტად ეს ხელოვნურად გამოგონილი სტატუსი ეჯავრება.

ბატონმა იმერი კავსაძემ ქართული კულტურის საოპერო ხელოვნების მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება. ბოლოს, ისარგებლა ბედნიერი შემთხვევით და თბილისის განახლებული საოპერო თეატრის პირველ სპექტაკლზე მოიპატიჟა როგორც აფხაზეთის, ასევე სამაჩაბლოს მკვიდრნი.

ქართული ხელოვნების კორიფეებთან შეხვედრა ზეიმად იქცა. მაყურებელთა შუაგულში აღმოჩენილი სტუმრები, წეროვანის ანსამბლის წევრებთან და ქართულ ხალხურ საკრავთა ნორჩ მუსიკოსებთან ერთად, დიდხანს იკრავდნენ გულში ბედის უკუღმართობით დროებით შეჭირვებულ, იძულებით გადმოხვეწილ თავიანთ სისხლსა და ხორცს.

შეხვედრა საბანკეტო დარბაზში გაგრძელდა, საუბარი მშობლიურ კუთხეს დროებით მოწყვეტილ ჩვენს თანამემამულეთა სვე-ბედზე. ქართული სუფრა რომ აკადემიაა, კიდევ ერთხელ შევიგრძენით მთელი თავისი ბრწყინვალებით. აზროვნების სიღრმე და მამაპაპური მოლხენის ეშხი ერთ სინთეზში მოაქციეს მასპინძლებმა: მცხეთა- მთიანეთის სახელმწიფო

რწმუნებულმა ნუგზარ ყიფიანმა, ახალგორის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა...

უწყვეტ ნაკადად წარმოთქმულ სიტყვებს ამთლიანებდა წეროვანის მომღერალთა ანსამბლ ,,ლომისის" განუმეორებელი ჟღერადობა.

საერთო შთაბეჭდილება ამ საღამოს მონაწილეთა და დამსწრეთათვის იყო ერთი - საქართველოს, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, გადაშენება არ უწერია. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კურთხეული ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია!..

ვაჟა ძიგუა,
თეატრმცოდნე

წმიდა მოციქულთანაწოდი, ამოძახილითა გრიგოლი, ოსეფ კაძის ასულ კეი აღსრულებული (+1942) 23 (06.12) ხოდბერი

მღდელმოწამე გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 (13.09) აგვისტოს სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი), მღვდელ რომანოზ ფერაძისა და მარიამ სამადალაშვილის ოჯახში.

1905 წელს მამა რომანოზი უეცრად გარდაიცვალა და მარიამს გასაზრდელად დარჩა სამი ობოლი: არჩილი, გრიგოლი და ვასილი. მარიამს ძალიან გაუჭირდა და გრიგოლი, ბიძამ, ყვარელის ეკლესიის მოძღვარმა, გიორგი ფერაძემ, წაიყვანა თავისთან.

სასკოლო ასაკს მიღწეული გრიგოლი დედამ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გრიგოლმა სასულიერო სემინარიაში დაიწყო სწავლა, რომლის რექტორიც იმხანად იყო ცნობილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე.

1918 წელს, გრიგოლი ტფილისის ახალგახსნილი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იმავდროულად მასწავლებლად მუშაობდა გორის მაზრის სოფელ ზემო ხანდაკში.

1919 წელს, გრიგოლი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

1921 წელს, გრიგოლი კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, ამავე წელს, როცა ბოლშევიკები თავს დაესხნენ საქართველოს, გრიგოლი, მის ორ ძმასთან ერთად, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

1921 წლის შემოდგომაზე, გარეკახეთის სამღდელოებამ, გრიგოლ ფერაძე გელათში გამართულ საეკლესიო კრებაზე თავის წარმომადგენლად მიავლინა. მღდელმოწამე ნაზარისა (ლეჟავა) და კორნელი კეკელიძის შუამდგომლობით ამ კრებაზე გადაწყდა გრიგოლის ევროპაში სასწავლებლად გაგზავნა.

1922 წლის მაისში, გრიგოლ ფერაძე ბერლინის უნივერსიტე-

ტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1925 წელს, გრიგოლი სასწავლებლად გადავიდა ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც იღრმავებდა რელიგიის საკითხებისა და აღმოსავლური ენების ცოდნას, მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის - „სამონასტრო საწყისების საკითხები საქართველოში“. იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1927 წლამდე, განაგრძობდა ღმრთისმეტყველების შესწავლას - ლექციებს ისმენდა ლუვენის უნივერსიტეტში.

1927 წლიდან გრიგოლ ფერაძე სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინგლისში, სადაც გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიის მამათა თხზულებების უძველეს ხელნაწერებს. 1927 წლის ივლისში გრიგოლი დანიშნეს ბონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.

1932 წელს, გრიგოლი მიიწვიეს ოქსფორდში საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად. 1931 წელს, გრიგოლი მონაზვნად აღიკვეცა, მალევე მღვდლად დაასხეს ხელნი, არქიმანდრიტობაც უბოძეს და პარიზის ქართული სამრევლო ჩააბარეს. გრიგოლ ფერაძემ პარიზში დააარსა წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და სამრევლო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“.

1932 წელს, მამა გრიგოლი ვარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის პროფესორად აირჩიეს. გრიგოლ ფერაძის უდიდესი ცოდნა შერწყმული იყო ღრმა რწმენასთან. მისი ლექციები გამსჭვალული იყო ეკლესიის მამების შემოქმედებითი სულით. მამა გრიგოლი ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. ის მთელ თავის სახსრებს ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიასა და ინგლისში ქართული საეკლესიო ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ცნობების მოძიებას. მისი შრომითა და ღვაწლით ბევრი ქართული ხელნაწერი იქნა აღმოჩენილი. ორი თვისება - შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა ახასიათებდა მამა გრიგოლ ფერაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე. ქართულმა საზოგადოებამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არაფერი იცოდა მისი მოღვაწეობის შესახებ.

იმ დროს, საფრანგეთში ინახებოდა საქართველოს ეკლესიის განძეულობა, რომელიც გრიგოლ ფერაძის თავგანწირული მოქმედების შედეგად გადაურჩა გერმანელი ფაშისტებისაგან კონფისკაციას. მან, როგორც ექსპერტმა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, დასკვნაში აღნიშნა, რომ ქართული კულტურის საუკეთესო ნაწილი, არავითარ მატერიალურ ფასეულობას არ წარმოადგენდა და მხოლოდ ეროვნული ღირებულება ჰქონდა.

1942 წლის მაისში მამა გრიგოლი ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ მამა გრიგოლი ეხმარებოდა და იფარებდა ფაშისტებისაგან დევნილ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. გრიგოლის ბინაზე ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ის ძვირფასი ძველი ხელნაწერები, რომლებზეც იგი მუშაობდა, ასევე ძვირფასი საეკლესიო ნივთები, რომელთაც იგი თავისი მოგზაურობის დროს საქართველოში დასაბრუნებლად იძენდა.

ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად გრიგოლ ფერაძე აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე. ესაა ოსვენციმის ბანაკის ადმინისტრაციის მიერ 1942 წლის 30 დეკემბერს გაცემული ცნობა, ხოლო ოსვენციმში პოლონეთის იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლის ჩანაწერებში, რომელიც 1942 წლის დეკემბრის ამბებს შეეხება, აღნიშნულია: „ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი, ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი“. როგორც ირკვევა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა, მოყვასის სიყვარულით თავს იდვა სხვებისთვის განკუთვნილი სასჯელი და მათ ნაცვლად აღესრულა, იგი გაზის კამერაში მოაკვდინეს ფაშისტებმა.

წმიდანთა ცხოვრება, ტომი II, თბილისი, 2008 წ.

საეკლესიო კალენდარი

იანვარი

1 იანვარი (პარ.) – ღირ. მამის გიორგი მწერლის და მისი ძმის საბას ხსენება (XIწ.);
2 იანვარი, – ქრისტეშობის წინა შაბათი (წინადღესაწაული)
– მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (107წ.);
– მართალ იოანე კრონშტადტელის ხსენება (1908წ.);
3 იანვარი, სულთმოფენობიდან 31-ე, ქრისტეშობის წინა, წმიდათა მამათა კვირა.
– წმ. მამის მაკარი მმარხველის (ხახულის მონასტრის წინამძღვრის) ხსენება (XIს.);
– მრავალვნებულისა ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1811წ.);
4 იანვარი (ორშ.) – დიდმოწამე ანასტასიას ხსენება (304წ.);
6 იანვარი (ოთხშ.), ქრისტეშობის წინა დღე. წმ. ბასილი დიდის წირვა.
7 იანვარი, ხუთშაბათი – ქრისტეშობა! წმ. იოანე ოქროპირის წირვა.
(ხსნილია ყოვლითურთ 17 იანვრის ჩათვლით);
8 იანვარი (პარ.), ქრისტეშობის შემდგომი დღესასწაული.
– კრება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა;
9 იანვარი, ქრისტეშობის შემდგომი შაბათი – ღირ. სტეფანე ხირსელის ხსენება (VIს.);
10 იანვარი, სულთმოფენობიდან 32-ე, ქრისტეშობის შემდგომი კვირა
– მართალ იოსებ დამწინდველის, დავით მეფის, ფსალმუნთა მთქმელისა
და უფლის ძმის, იაკობის ხსენება.
11 იანვარი (ორშ.) – ათოთხმეტ ათასთა ჩვილთა მოწამეთა, ჰეროდეს მიერ
ბეთლემს მოწყვეტილთა ხსენება (Iს.);
13 იანვარი (ოთხშ.) – ქრისტეშობის დღესასაწაულის წარგზავნა;
– ღირ. საბიანას (სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრის) ხსენება;
14 იანვარი (ხუთშ.) – წინადაცვეთა უფლისა,
– წმ. ბასილი დიდის (კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის) ხსენება (379წ.);
15 იანვარი (პარ.) – ღირ. სერაფიმე საროველის ხსენება (1883წ.);
16 იანვარი (შაბ.) – წმ. ექვთიმე ღმრთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენება (1953წ.);

17 იანვარი, სულთმოფენობიდან 33-ე, ნათლისღების წინა კვირა.
– ღირ. შიომღვიმელ მოღვაწეთა ხსენება;
– კრება წმიდათა სამოცდაათთა მოციქულთა (Iს.);
18 იანვარი (ორშ.), ნათლისღების წინა დღე. მარხვა;
19 იანვარი (სამშ.) – ნათლისღება! (ღმრთისგანცხადება)
დიდი აიაზმა (წყლის კურთხევა). წმ. ბასილი დიდის წირვა.
20 იანვარი (ოთხშ.), ნათლისღების შემდგომი დღესასწაული.
– კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
21 იანვარი (ხუთშ.) – დიდმოწამე აბო ტფილელის ხსენება (786წ.);
23 იანვარი (შაბ.) – წმ. გრიგოლის, ნოსელ ეპისკოპოსის ხსენება (394წ.);
24 იანვარი, სულთმოფენობიდან 34-ე, ნათლისღების შემდგომი კვირა.
– ღირ. თეოდოსი დიდის ხსენება (529წ.);
26 იანვარი (სამშ.) – ნათლისღების დღესასწაულის წარგზავნა;
27 იანვარი (ოთხშ.) – მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლების წმ. ნინოს ხსენება. **ნინოობა!**
28 იანვარი (ხუთშ.) – წმ. სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სივნიელის ხსენება;
29 იანვარი (პარ.)– წმ. პეტრე მოციქულის პატიოსანთა ჯაჭვთა თაყვანისცემა;
30 იანვარი (შაბ.) – ღირ. ანტონი დიდის ხსენება (356წ.);
31 იანვარი, სულთმოფენობიდან 35-ე კვირა:
– მიცვალება ქართველთა კეთილმორწმუნისა მეფისა თამარისა.
– ღირ. ეფრემ მცირის (ფილოსოფოსის) ხსენება (1101წ.);
– ღირ. ალექსი მღვდელმონაზონის (შუშანიას) ხსენება (1923წ.);
– წმ. ათანასესი (373წ.) და კირილეს (444წ.) (ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა) ხსენება.

თებერვალი

1 თებერვალი (ორშ.) – ღირ. ანტონ მარტყოფელის ხსენება (VIს.);
– ღირ. მაკარი დიდის (ეგვიპტელის) ხსენება (390-391წ.);
2 თებერვალი (სამშ.) – წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენება (1944წ.);
– ღირ. მაქსიმე ბერძენის ხსენება (1556წ.);
3 თებერვალი (ოთხშ.) – ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662წ.);
4 თებერვალი (ხუთშ.) – მოციქულ ტიმოთეს ხსენება (დაახ. 96წ.);
5 თებერვალი (პარ.) – მღვდელმოწამე კლიმენტისა და მოწამე აგათანგელოზის ხსენება (312წ.);
6 თებერვალი (შაბ.) – **წმ.** მელქისედეკ I, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, სვეტიცხოვლის განმაახლებლის ხსენება (XIს.);
7 თებერვალი (კვ.) – წმ. გაბრიელის, იმერეთის ეპისკოპოსის ხსენება (1896წ.);
– წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (389წ.);
8 თებერვალი (ორშ.) – წმ. კეთილმსახური **მეფის დავით აღმაშენებლის ხსენება (1125წ.);**
9 თებერვალი (სამშ.) – წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება (438წ.);
10 თებერვალი (ოთხშ.) – ღირ. ეფრემ ასურის ხსენება (373-379წწ.);
11 თებერვალი (ხუთშ.) – მოწ. აშოტ დიდი კურაპალატის ხსენება (829წ.);
– მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (107წ.);
12 თებერვალი (პარ.) – წმ. შორის მამათა ჩუენთა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენება;
13 თებერვალი (შაბ.) – უვეცხლოთა მოწამეთა კვიროსისა და იოანეს ხსენება (311წ.);
15 თებერვალი (ორშ.) – **მირქმა – მიგებება** უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი;
16 თებერვალი (სამშ.) – მართალ სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის და ანა წინასწარმეტყველის ხსენება;
17 თებერვალი (ოთხშ.) – ღირ. ევაგრეს (ღირ. შიო მღვიმელის თანამოღვაწის) ხსენება (VIს.);
18 თებერვალი (ხუთშ.) – მოწამე აღათიას ხსენება (251წ.)
19 თებერვალი (პარ.) – ღირ. არსენ იყალთოელის ხსენება (1127წ.);
20 თებერვალი (შაბ.) – წმ. მეფის სოლომონ II (სამშობლოსათვის თავდადებულის) ხსენება (1815წ.);
21 თებერვალი, მეზვერისა და ფარისევლის კვირა.
– დიდმოწ. თეოდორე სტრატილატის ხსენება (319წ.);
23 თებერვალი (სამშ.) – ღირ. იოანე ჭიმჭიმელის, ფილოსოფოსის ხსენება (XIIIს.);
(ხორცით დაურწყება)
24 თებერვალი (ოთხშ.) – მღვდელმოწამე ვლასის, სებასტიელი ეპისკოპოსის ხსენება (316წ.);
25 თებერვალი (ხუთშ.) – **ივერიის** ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;
– წმ. პროხორე ქართველის ხსენება 9XIს.);
– წმ. ლუკა იერუსალიმელის (მუხაიძე) ხსენება (1277წ.);
– მოწ. ნიკოლოზ დვალის ხსენება (1314წ.);
26 თებერვალი (პარ.) – ღირ. მარტინიანეს ხსენება (Vს.);
27 თებერვალი (შაბ.) – ღირ. შიო მღვიმელის ხსენება (VIს.), შიოობა;
– ღირ. მღვდელმონაზონის ილარიონ ქართველის (ყანჩაველი 1864);
28 თებერვალი, უძღები შვილის კვირა
– მოც. ონისიმეს (სამოცდაათაგანის) ხსენება (დაახ. 109წ.).
29 თებერვალი (ორშ.) – მოც. ონისიმეს (სამოცდაათაგანის) ხსენება (დაახ. 109წ.).

ჩვენი ეპარქია

კითხვა-მიგება ლიტურგიკულ საკითხებზე



– რას გვეტყოდით ეკლესიის რაობაზე?

– მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით, „ეკლესია აღემატება ქმნილების ყველა მოაზრებად საზღვარს: როგორც დროითს, ისე – მატერიალურს. ეკლესია ისეთი განსაკუთრებული „საღმრთო განზომილებაა“ , რომელშიც შეზღუდულობის ჩვენეული კანონები არ მოქმედებენ. რადგან მარადიული და უსასრულოა ღმერთი, ესე იგი ჩვენც, ვცხოვრობთ რა ეკლესიაში, ვეზიარებით და ვხდებით რა მისი სხეული, ღვთაებრივი მარადიულობისა და უსასრულობის ამ განზომილებაში ვხვდებით. ჩვენ ვხდებით თანამედროვე, თანადამსწრე და მოწმე მოციქულებისაც, სამყაროს შექმნისაც და ადამიანთა და სამყაროს ხსნის შესახებ საღმრთო განგებულების ისტორიის სხვა მრავალი მოვლენისა“ (საიდუმლოებანი 2010: 18).

წმიდა მაქსიმე აღმსარებლის განმარტებით:

„ეკლესია არს ტაძარი ღმრთისაჲ, სახლი ლოცვისაჲ, შესაკრებელი ერისაჲ, გუამი ქრისტესი და სძალი მისი, წყლითა მით ნათლისღებისაჲთა განწმედილი და პატიოსნითა სისხლითა მისითა პკურებული; და ვითარცა სძალი შემკობილი და საცხებელითა მით სულისა წმიდისაჲთა აღბეჭდული, ვითარცა თქუა წერილმან, ვითარმედ: „ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ არს სახელი შენი“ და „სულნელებასა ნელსაცხებელისა შენისასა ვრბიოდი“ (კალენდარი 2003: 117).

„ეკლესიჲ არს ცაჲ ქუეყანასა ზედა, რომელსა შინა დამკჳდრებულ არს ცათა შინა მყოფი ღმერთი. ამას შინა გამოისახვის ჯვარცუმაჲ და დაფლვაჲ და აღდგომაჲ ქრისტესი. დიდებულეს არს უფროის კარავსა მას საწამებელსა, რომელი შეჰმზადა მოსე წმიდასა მას წმიდათასა. რამეთუ ესე წმიდაჲ ეკლესია მამათმთავართა მიერ წინაჲთვე გამოსახულ არს, წინაჲსწარმეტყველთაგან ქადაგებულ არს, მოციქულთაგან დაფუძნებულ არს და მღდელთმოძღუართაგან შემკობილ არს. სახე არს უხილავისა მის სოფლისა და ხილულისა. უხილავისა მის სოფლისა სახე არს საკურთხეველი და ხილულისა ამის – სახე არს ტაძარი“ (კალენდარი 2003: 117-118).

ამგვარად, ტაძარი ფერნაცვალი კოსმოსის ხატია და იმ სივრცესა და დროში მოიაზრება, სადაც სულიერი სამყარო მეფობს. ემსახურება რა ცოდვით დაცემულ ადამიანთა ხსნას, იგი იმ წმიდა ჰარმონიულ მდგომარეობას განასახიერებს, რომელშიც ზეცა და ქვეყანა იმყოფებოდა ცოდვით დაცემამდე. აქ ყოველ შტრიხს, ყოველ დეტალს, გეომეტრიულ ფორმასაც კი სულიერი დატვირთვა და მისტიკური შინაარსი აქვს.

– რატომ ნათელიღო მაცხოვარმა?

– ნათლისღება ასევე იწოდება განცხადებად უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

წმიდა ეფრემ ასურის სწავლებით: „მაცხოვარი ნათელსიღებს იმიტომ, რომ დაამოწმოს თავისი ადამიანური ბუნების ჭეშმარიტება; უმეტესწილად კი იმიტომ, რომ თავის ნათლისღებით განასრულოს იოანეს ნათლობა, რადგან იგი თავიდან ნათლავდა მათ, ვინც იოანესაგან მიიღო ნათლობა. ამით უფალმა თვალნათლივ წარმოაჩინა ის გარემოება, რომ იოანე მხოლოდ განამზადებდა მის მოსვლას, ხოლო მის მიერ ბოძებული ჭეშმარიტი ნათლისღება ადამიანებს მიანიჭებდა პირველქმნილი ცოდვისაგან განთავისუფლებას“ ;

წმიდა იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს, რომ: „ანგელოზთა მეუფე შევიდა რა იორდანეს წყლებში, განწმინდა წყლის ბუნება და კურნება მიანიჭა მთელ სამყაროს“ ;

წმიდა ბასილი დიდი განგვიმარტავს, რომ „ჩვენი ცხონების განმგებელმა უფალმა ნათლობის აღთქმა დაგვიდო, რომელიც თავის თავში სიკვდილისა და სიცოცხლის სახეს ატარებს. სიკვდილის გამომხატველი წყალია, ხოლო სიცოცხლისა კი სულიწმინდა“.

– მართლმადიდებელი ქრისტიანის დასაფლავებისას რამდენად აუცილებელია მიცვალებულის სხეულზე ჯვრის სახედ მიწის დაყრა?

– მართლმადიდებელი ქრისტიანის დასაფლავებისას, უშუალოდ დასაფლავების წინ (მას შემდეგ, რაც უახლოესი ადამიანები გამოეთხოვებიან მიცვალებულს), გარდაცვლილთათვის განკუთვნილი ჭურჭლის სახურავის დაფარებამდე, მღვდელი:

1. მიცვალებულის სხეულზე ჯვრისსახედ მოაპნევს ნაკურთხ მიწას, რის დროსაც წარმოთქვამს ლოცვას: „უფლისა არს ქვეყანაჲ და სავსებაჲ მისი და ყოველი დამკვიდრებული მას შინა“ ;

2. ამის შემდეგ ნაკურთხ ზეთს დაასხამს მიცვალებულს (ნიშნად იმისა, რომ მან კეთილად დაასრულა ამქვეყნიური ცხოვრება და ყოვლითურთ ცდილობდა რა აღესრულებინა ღვთის ცნებები, საზვერეების გავლის შემდეგ სასუფეველში დაივანებს);

3. ბოლოს გარდაცვლილს საცეცხლურიდან ფერფლს დააყრის (რაც იმის მანიშნებელია, რომ მსგავსად ჩაფერფლილი კეთილსურნელოვანი საკმეველისა, კეთილმორწმუნე ქრისტიანის მიწიერი ცხოვრება აქ კი დასრულდა, მაგრამ იგი მარადიულად გრძელდება ცათა სასუფეველში) (სამაგიდო 1983: 484).

– რომელი წეს-განგებით უნდა აეგოს წესი დიაკონს ან არქიმანდრიტს?

- დიაკონს წესი უნდა აეგოს ერისკაცთათვის განკუთვნილი წესგანგებით, რის დროსაც მას მამაოს სახელით მოიხსენიებენ (ბულგაკოვი 1993: 1319), ხოლო არქიმანდრიტს წესი აეგება მონაზონთათვის განჩინებული წესით (ბულგაკოვი 1993: 1318).

თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის
სახელობის ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

ზეიმად ქცეული შეხვედრა

ნიქოზი

სამთაკონი



ISSN 2298-0865

9 772298 086004

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი